პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 ივნისი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 108 (10027) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**გუშინ მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლეში მეთერთმეტედ შეიკრიბნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები.**

**ყრილობა განიხილავს ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს.**

მასალები ყრილობის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ვრცლად ქვეყნდება ცენტრალურ და რესპუბლიკურ პრესაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## როდის და სად რა ჩატარდება

10-19 ივნისი. ბალახის ჰოკეი (გოგონები). ბარნაული.
19-24 ივნისი. სამბო. დონეცკი.
20-30 ივნისი. ფარიკაობა. ზაპოროჟიე.
21-27 ივნისი. ცურვა. დონეცკი.
23-30 ივნისი. ცხენოსნობა. ვოროშილოვგრადი.
26 ივნისი — 1 ივლისი. სინქრონული ცურვა. დონეცკი.
27 ივნისი — 7 ივლისი. მაგიდის ჩოგბურთი. ვოროშილოვგრადი.
27 ივნისი — 8 ივლისი. კალათბურთი. (იუნიორები). დონეცკი.
27 ივნისი — 8 ივლისი. კალათბურთი. (გოგონები). მაკეევკა.
28 ივნისი — 5 ივლისი. მშვილდოსნობა. სუმი.
29 ივნისი — 4 ივლისი. ძიუდო. (იუნიორები). დონეცკი.
29 ივნისი — 4 ივლისი. ძიუდო (გოგონები). დონეცკი.
1-10 ივლისი. აფროსნობა. მარიუპოლი.
1-8 ივლისი. ჩოგბურთი. დონეცკი.
1-6 ივლისი. აკადემიური ნიჩბოსნობა. დნეპროპეტროვსკი.
2-8 ივლისი. ველოსპორტი. (ტრეკი). ტულა.
2-11 ივლისი. ბალახის ჰოკეი. (იუნიორები.) ვასილკოვი.
3-8 ივლისი. სასტენდო სროლა. ვოროშილოვგრადი.
3-16. ივლისი. ჭადრაკი. კრამატორსკი.
3-10 ივლისი. წყალში ხტომა. სევასტოპოლი.
4-9 ივლისი. ველოსპორტი. (გზატკეცილი), კიევი.
5-11 ივლისი. მძლეოსნობა. დონეცკი.
5-11 ივლისი. აკრობატიკა. ვინიცა.
7-10 ივლისი. ბატუტზე ხტომა. დნეპროპეტროვსკი.
7-12 ივლისი. კლასიკური ჭიდაობა. დონეცკი.
7-24 ივლისი. ფეხბურთი. კრამატორსკი.
8-16 ივლისი. ბეისბოლი. სიმფეროპოლი.
8-14 ივლისი. თანამედროვე ხუთჭიდი. ლვოვი.
9-16. ივლისი. სპორტული ტანვარჯიში. დონეცკი.
10-20 ივლისი. ბადმინტონი. დნეპროპეტროვსკი.
13-18 ივლისი. თავისუფალი ჭიდაობა. დონეცკი.
13-17 ივლისი. წყალსათხილამურო სპორტი. დნეპროპეტროვსკი.
13-24 ივლისი. ხელბურთი. (იუნიორები). დონეცკი.
13-24 ივლისი. ხელბურთი. (გოგონები). გორლოვკა.
15-23 ივლისი. ტყვიის სროლა. ლვოვი.
16-24 ივლისი. ძალოსნობა. დონეცკი.
18-24 ივლისი. მხატვრული ტანვარჯიში. დონეცკი.
18-23 ივლისი. საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე. ზუგრესი.
21-30 ივლისი. კრივი. დონეცკი.

ამჟამად მიმდინარეობს შეჯიბრებები: წყალბურთი. სევასტოპოლი (დამთავრდება 10 ივნისს); ფრენბურთი. დონეცკი. იუნიორები (13 ივნისს); ფრენბურთი, კრამატორსკი — გოგონები (13 ივნისს).

თვის მონაგარი

# მემკვიდრეები

**რაც** დრო გადის, ბუნებრივია, სპორტი მით უფრო ვითარდება და კონკურენციაც უკიდურესად იზრდება. ასეთ პირობებში ძნელია, ძალიან ძნელია გამარჯვება, მით უმეტეს მრავალ შეჯიბრებაში. ამიტომაც სპორტსმენები განსაკუთრებული მონდომებით ძირითადად ერთი რომელიმე პაექრობისთვის ემზადებიან. მაგრამ არიან ათლეტები, რომელთათვისაც დიდი თუ პატარა ასპარეზობა არ არსებობს, ყოველ შეჯიბრებაში მონაწილეობენ და სტაბილურად მაღალ შედეგებს აჩვენებენ. ასეთი სპორტსმენები, საბედნიეროდ, საქართველოსაც ჰყავს. ისინი ჩვენი რუბრიკის („თვის მონაგარი"), თუ შეიძლება ასე ითქვას, ხშირი სტუმრები არიან. ზოგიერთი მათგანის გვარს იმდენად ხშირად ვკითხულობთ, რომ მათზე რუბრიკის სტუმარი კი არა, უფრო უპრიანია მასპინძელი ვთქვათ.

**ასეთი** მასპინძელი თბილისელი ნინო სალუქვაძე გახლავთ. აპრილში მოპოვებულ მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალს მაისში მსოფლიო თასიც შემატა, თანაც მსოფლიო რეკორდით. ამ წარმატებას ნინომ ბერლინში გამართულ ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის გათამაშებაში მიაღწია. აქ მან პისტოლეტით სროლაში, ძირითად სერიაში, მსოფლიო რეკორდი დაამყარა, საბოლოოდ კი მსოფლიო თასიც დაისაკუთრა.

**მაისის** „თვის მონაგარში" განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ჩვენს მოჭიდავეებს, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატებზე გამოიჩინეს თავი,

ინგლისში გამართულ სამბისტთა ევროპის ჩემპიონატიდან ოქროს მედლით დაგვიბრუნდა გორელი ჯემალ მჭედლიშვილი.

ფინეთის დედაქალაქში საბჭოთა ძიუდოისტებმა ევროპის ჩემპიონატის სამი ოქროს მედალი დაიმსახურეს, აქედან ორი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა ანგარიშზე მოდის. უძლიერესის სახელი მოიპოვეს თბილისელმა ამირან ტოტიკაშვილმა და გორელმა კობა კურტანიძემ. ამას გარდა, გორელმა გიორგი თენაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მეტად გვამხნევებს ისიც, რომ ჩვენს ძიუდოისტებს კარგი ცვლა ეზრდებათ. ახალგაზრდები ცდილობენ მათ არ ჩამორჩნენ და ისინიც ღირსეულ მემკვიდრეებად გვევლინებიან. კიევში გამართულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც ცხრა ქვეყნის ათლეტები ჩავიდნენ მძიმე წონოსანთა ფინალურ პაექრობაში, ერთმანეთს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ქარელელი ზაზა დაბრუნდაშვილი და ზესტაფონელი კობა გურეშიძე შეხვდნენ. გაიმარჯვა ზაზა დაბრუნდაშვილმა. ამავე წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გავიდნენ ზაზა დაბრუნდაშვილის უმცროსი ბიძაშვილი, ასევე ქარელელი ჯონდო დაბრუნდაშვილი და ახმეტელი რომან უძილაური. ასე რომ, მძიმე წონაში საპატიო კვარცხლბეკი მთლიანად ქართველმა ძიუდოისტებმა შეავსეს.

იხ. მე-4 გვ.

## პირველი გამარჯვება

**საქართველოს** წყალბურთელთა ნაკრების წევრებმა ახალგაზრდულ საკავშირო სპორტულ თამაშებზე ქვეჯგუფში პირველი გამარჯვება იზეიმეს. მათ მესამე ტურის შეხვედრაში სომხეთის გუნდს სძლიეს — 12:8. წყალბურთელთა შეჯიბრებაში, რომელიც სევასტოპოლში მიმდინარეობს, როგორც ვიუწყებოდით, ჩვენმა გუნდმა ყაზახეთის ნაკრებთან შეხვედრა წააგო (7:10; გუშინ ეს ანგარიში შეცდომით დაიბეჭდა), ხოლო მოსკოველებთან ფრედ (8:8) ითამაშა. ამრიგად საქართველოს ნაკრებს ჯერჯერობით 3 ქულა აქვს.



ეს დღეებია, თბილისელ რაგბის მოყვარულებს მოცლა არა აქვთ — თითქმის ყოველდღე იმართება უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდების მატჩები. ამ სურათზე „თბილისური რაგბის კვირეულის" ყველაზე საინტერესო მატჩის — „ელმავალი" — სსა მომენტია აღბეჭდილი. (იხ. მე-4 გვ.).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ვასილ დავიდენკო — აქტიური ველოსიპედისტი

**ტურკუ.** ფინეთის ამ ქალაქში დამთავრდა მრავალდღიანი ველორბოლა „ბალტიისპირეთის ქვეყნების პრიზი." 1229 კილომეტრი ცხრა ეტაპად იყო დაყოფილი. პირად ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანმა ასიატ საიტოვმა, რომელიც პირველი იყო სასტარტო, მესამე და მეხუთე ეტაპებზე, სამჯერ კი პრიზიორთა შორის მოხვდა ჯგუფურ რბოლაში.

რბოლის საბოლოო შედეგები. პირველი ჩათვლა: 1. ა. საიტოვი (სსრ კავშირი) — 29:37.13; 2. ფ. აუგუსტინი (გდრ) — 29:38.12, 3. ბ. სტენერსენი (ნორვეგია) — 29:38.21. გუნდური ჩათვლა: 1. ესტონეთი, 2. ფინეთი, 3. გდრ... 7. სსრ კავშირი.

გათამაშდა რამდენიმე სპეციალური პრიზიც. ყველაზე სტაბილურ ველოსიპედისტად გამოცხადდა ასიატ საიტოვი, ყველაზე აქტიურ მრბოლელად კი დაასახელეს აუგუსტინი (37 ქულა) და თბილისელი ვასილ დავიდენკო (29 ქულა).

## დაბედებოდეთ...

**საკავშირო** ტურნირში პირველად მიიღეს მონაწილეობა საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს სპორტსკოლების ნორჩმა მძლეოსნებმა: ვოლგოგრადში, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ტრადიციულად ტარდება საქალაქთაშორისო ტურნირი 12-13 წლის მძლეოსნებისათვის და საქართველოს გუნდი იქ მიიწვიეს სხვა 33 კოლექტივთან ერთად.

ჩვენმა ნორჩებმა ვოლგოგრადში წარმატება მოიპოვეს — მეორე ადგილი დაიკავეს მასპინძლების შემდეგ. გარდა ამისა, მათ 6 პირველი და მრავალი საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს პირად პირველობაში. გამარჯვებულთა შორის არიან ხაშურელი გიორგი ზანიკაშვილი, რომელმაც 60 მ 7,4 გაირბინა, ზუგდიდელები ლევან ბუსკანიძე (300 მ — 41,0) და გიორგი ჯალაღონია (ბირთვის კვრა — 11,18 მ), ოზურგეთელი პაატა კუნჭულია (600 მ — 1.39,2), ფოთელი ალექსეი ლინიკოვი (1000 მ — 3.01,6) და ამანათრბენის კვარტეტი 4X100 მეტრზე.

გუშინ მოკლედ გაუწყეთ

## ვინ შეცვლის გარასტასს?

**ვლადას გარასტასი** — კაუნასის „ჟალგირისის" კალათბურთელთა უფროსი მწვრთნელი ამ კლუბში ათი წლის წინ მოვიდა. მანამდე იგი მუშაობდა ლიტვის პატარა ქალაქ ბირჟაიში სპორტსკოლის დირექტორად. „ჟალგირისმა" გარასტასის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია როგორც საკავშირო ჩემპიონატებში, ისე საერთაშორისო სარბიელზე. იგი ოთხჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი და ამდენჯერვე ვერცხლის მედლების მფლობელი, ორჯერ გავიდა ევროპის საკლუბო ტურნირების ფინალში, 1986 წელს მოიგო საკონტინენტთაშორისო თასი. გუნდის სამი წევრი — რიმას კურტინაიტისი, ვოლდემარ ხომიჩუსი და არვიდას საბონისი სეულის ოლიმპიადის ჩემპიონია.

ამ ცოტა ხნის წინ 57 წლის გარასტასი საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების უფროს მწვრთნელად დაინიშნა. სწორედ ამიტომ დღის წესრიგში დადგა მისი კლუბიდან წასვლის საკითხი. მაგრამ ვინ შესცვლის ამ გამოცდილ და მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელს?

საკითხის გადასაწყვეტად გამოცხადდა კონკურსი და შედგა სპეციალური კომისია ლიტვის ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორის, წარსულში ცნობილი კალათბურთელის, მელბურნის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის სტატის სტონკუსის თავმჯდომარეობით.

ინფორმაცია

### გამარჯვება სამივე ტურში

**დიმიტროვგრადში** დაიწყო საკავშირო პირველობა „თეთრი ეტლის" პრიზზე. წინასწარ შეხვედრებში ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მოჭადრაკეებმა (ალექსანდრე ყაშაშვილი, კახა ყორყოლიანი, გიორგი ნეფარიძე, გაგა ედიბერიძე, ეკა გიორგაძე) სამივე ტურში გაიმარჯვეს. მათ დაამარცხეს ბელორუსიის (3:2), სამარყანდისა (3,5:1:5) და ოდესის (3,5:1.5) ნაკრები გუნდები.

**ალექსანდრე რაზოვსკი.**
(დიმიტროვგრადი, დეპეშით).

## გოლოსწინა, V ეტაპის სტარტზე

**3-დან** 2,5 ქულა — ასეთია საბჭოთა დიდოსტატების ანატოლი კარპოვისა და არტურ იუსუპოვის სასტარტო შედეგი ჰოლანდიის ქალაქ ჰააგაში დაწყებულ მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის პირველი გათამაშების V ეტაპზე. როგორც იცით, მსოფლიო თასის გათამაშებას დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაცია აწყობს, მისი პრეზიდენტის, მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის თაოსნობით. სხვათა შორის, ამ გათამაშებასაც, ხუთი ეტაპის შემდეგ, კასპაროვი ლიდერობს. გათამაშების VI, ბოლო შეჯიბრება წელსვე 10 აგვისტოდან შვეციის ქალაქ შკელეფტეში უნდა მოეწყოს.

ახლა იმის შესახებ, თუ ვისთან შეხვედრებში დააგროვეს ლიდერებმა 2,5-2,5 ქულა. პირველ ტურში მსოფლიოს ექსჩემპიონი რაფაელ ვაჰანიანს დაუზავდა, მომდევნო ორ ტურში კი კუბელ ხესუს ნოგეირასსა და ამერიკელ იასერ სეირავანს მოუგო. იუსუპოვმა ვალერი სალოვი და იუგოსლაველი ლიუბომირ ლიუბოევიჩი დაამარცხა, II ტურში კი ინგლისელ ჯონ ნანს დაუზავდა. 2 ქულით ლიდერებს კვალში მიჰყვება ვალერი სალოვი. ტურნირში ცხრა ქვეყნის 17 მოჭადრაკე მონაწილეობს.

**ახალგაზრდობა ეროვნული საქმის სამსახურში**



# „ჰე, მამულო!.. გრძნობა შენი მოვლისა..."

**ათიოდე** დღის წინ, ჭიათურაში მივლინების დროს, ძეგლთა დაცვისა და ეკოლოგიის პრობლემებზე საინტერესო საუბარი გაიმართა ქალაქის მე-20 პროფტექნიკური სასწავლებლის კოლექტივთან...

მათ, ვინც ეს ღონისძიება დაგეგმა, შემთხვევით არ შეურჩევიათ ეს სასწავლებელი შეხვედრის ადგილად: პროფესიის ერთგულებასთან ერთად მშობლიური კუთხის სიყვარული შინაარსითა და სილამაზით ავსებს აქაური ახალგაზრდების ცხოვრებას.

სასწავლებელი, რომლის კეთილმოწყობილი შენობა ქალაქის ყველაზე ამაღლებულ ადგილზეა და ამაყად გადმოჰყურებს ხეობაში ხელისგულივით გაშლილ ქალაქს, თავის კედლებში არა მარტო მომავალ მშენებლებს, არამედ პიროვნული ღირსებებით სრულყოფილ მოქალაქეებს ზრდის.

ამ ღირსებების შესისხლხორცება და შეთვისება მხოლოდ დიდაქტიკური შეგონების საყრდენებს როდი ეფუძნება. უცხო თვალიც კი შორიდანვე შენიშნავს იმას, რისი დანახვაც მოყვასის გულს ახარებს და სურვილსაც აღუძრავს — ნეტავ ეს სანახავი ყველგან გვაჩვენაო, სადაც ახალგაზრდების ხალისიანი ხმა და ჯანსაღი სული ტრიალებს...

სასწავლებელთან განლაგებული სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე დამთავრების პირზე მისული საცურაო აუზის სამუშაო პანორამა მოჩანს...

ტელევიზორითა და საჭადრაკო ინვენტარით აღჭურვილი საკრებულო რომ აღარ აკმაყოფილებთ — ვიდეოსალონის მოწყობა გადაუწყვეტიათ. შენობის გვერდით საუნას აწყობენ, ცოტა მოშორებით გორაკებიან რელიეფზე ამფითეატრივით გაშლილი ადგილი გამოარჩიეს და მას მალე ფეხბურთის მოედნად გადააქცევენ...

თუ იმასაც მიაღწიეს, რომ სასწავლებლის საერთო საცხოვრებლის ამჟამად გამოუყენებელი პირველი სართული გამოუყვეს, მაშინ დახურული სპორტული დარბაზის მოწყობას წინ აღარაფერი დაუდგება...

ეს ყველაფერი ახალგაზრდებს თავისი ხელით გაუკეთებიათ და ამიტომაც ეამაყებათ, მაგრამ მათი სიამაყის მიზეზი სხვა უფრო უმთავრესია: ერთი დიდი დარბაზი ტურისტულ მოგზაურობაში მოძიებული და ახლომახლო სოფლებიდან, ოჯახებში მოკრებილი სამუზეუმო ექსპონატებით აუვსიათ და საკუთარი მხარეთმცოდნეობის იეთი მუზეუმი გაუმართავთ, ბარე ორ რაიონულ ცენტრსაც რომ დაამშვენებდა.

სხვათა შორის, მუზეუმს საფუძველი სასწავლო კორპუსის მშენებლობის დაწყებისთანავე ჩაეყარა: საძირკველი გაითხარა თუ არა, სხვადასხვა კულტურული ფენები აღმოჩნდა... არქეოლოგიური მასალა სასწავლებლის შენობაში დააუნჯეს. არქეოლოგებმა დაათვალიერეს ეს ადგილი, მაგრამ ჯერ ვერ მოახერხეს ამ ტერიტორიაზე რეგულარული გათხრების წარმოება, მიუხედავად იმისა, რომ მიწის ზედაპირზე ახლაც ხშირად პოულობენ ვერცხლისა და სპილენძის მონეტებს, ადამიანის ძვლებს, ნაგებობიდან ჩამოშლილ ლოდებს... ხოლო მიწის ზედაპირზე შემორჩენილი ლითონსადნობი ქურა წლევანდელმა მკაცრი ზამთრის ყინვებმა შუაზე გააპო, დიდი მასის ეს ისტორიული ექსპონატი ამ სახითვე დარჩენილა ჭიშკრის გადაღმა. მუზეუმში და მის შემოგარენში არსებული მრავალი საინტერესო მასალა დღესაც კვალიფიციური სპეციალისტის ხელს ელოდება...

ახალგაზრდებთან საუბარში ისიც გაირკვა, რომ ისინი გულგრილნი არ არიან იმ პროცესების მიმართ, მარგანეცის მადნის მოპოვების შემდეგ ხინჯად რომ რჩება ქალაქის მეტად თავისებურ ლანდშაფტურ შემოგარენს: არ ხდება დაზიანებული ნიადაგის სრულყოფილი რეკულტივაცია, მიწისქვეშა მაღარო აზიანებს არქიტექტურულ ძეგლებს, საპაფლაოებს...

ბევრი უძველესი ნივთი, ფოტოსურათი, ნუმიზმატიკური მასალა, ხელნაწერი ალბომი და სხვადასხვა არქეოლოგიური საგნები, რომელნიც მთელი კოლექტივის მცდელობით სათანადო ფორმითაა პროფტექნიკური სასწავლებლის მუზეუმში წარმოდგენილი — ინტერესს იწვევს მნახველში. მაგრამ არანაკლებ საინტერესო გამოდგა მათი სიტყვიერი ინფორმაცია:

70 მეტრი სიმაღლის კლდეში, ბუნებრივი მღვიმის პირზე აშენებული, მეცამეტე საუკუნის მღვიმევის მონასტერი შემთხვევით გაჩენილმა ხანძარმა დააზიანა. მღვიმე ახალგაზრდებს მოუნახულებიათ და შეფობაც გადაუწყვეტიათ. ძეგლის გულდასმით დათვალიერების დროს, ყლდის შვეულ კედელზე ამოშენებული საიდუმლო სარდაფის კედლის წყობაში წარწერიანი ქვა აღმოუჩენიათ. ასომთავრულით შემკული ქვა მას შემდეგ გამოჩნდა, როდესაც ხანძარმა კედელზე ასული ხვიარები და სურო გაანადგურა.

ამ ინფორმაციამ საშუალება მომცა უცნობი, ძნელადგასარჩევი წარწერა ფირზე გადამეღო... მაგრამ წინ უფრო საინტერესო მოულოდნელობა მელოდა: გამჟღავნებული ფირიდან გაკეთებულ ფოტონაბეჭდზე... სხვა საიდუმლო ნიშანი გამოიხატა — წარწერის ქვეშ გაშლილი ხელის მტევანია აღბეჭდილი, მიმართული დასავლეთით — იქით, საიდანაც ვინ იცის, უკვე რამდენი საუკუნეა თვალმოუშორებლად იმზირება მცირე სამლოცველოს ფრონტონის წვერზე გამოკვეთილი სკულპტურული სიმბოლო — ვერძის თავი...

გაუშიფრავმა, უცნობმა წარწერამ და მგრძნობიარე ფოტოფირზე აღბეჭდილმა, გაშლილი ხელის მტევნის საიდუმლო სიმბოლომ, „ლელოს" ერთი ადრინდელი პუბლიკაცია გამახსენა: 1952 წლის 1 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „შრომისა და ფიზიკური წრთობის გზაზე", აღნიშნული იყო:

„ჭიათურა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მთაგორიანი ადგილია. ყვირილის ხეობაში, მდინარის ორივე მხარეზე პირქუშად გადმოიყურებიან დიდრონი სალი კლდეები. აქ, ამ კლდეების ციცაბო კედლებზე მრავალი გამოქვაბულია. ისინი აქაური ადგილების ისტორიული წარსულის ცოცხალი მოწმენი არიან. სამწუხაროდ, ბევრი მათგანის საიდუმლოება დღემდე არაა შესწავლილი.

ამ სამი-ოთხი წლის წინათ ალპინიზმის მოყვარულთა ერთი ჯგუფი მთის გუმბათიდან ჩავიდა შევარდნო მთის ერთ-ერთ დიდ გამოქვაბულში. ჯგუფმა გამოქვაბულში იპოვა 5 ისარი, რომლებსაც ლითონის მახვილი ჰქონდა გაკეთებული. ამ დღიდან მოკიდებული ჭიათურელი ახალგაზრდობა კიდევ უფრო დაინტერესდა ალპინიზმით..."

მართლაც, ამ დღიდან მოყოლებული, პირველი თაობის მთამსვლელთა ამ ჯგუფმა, არაერთ მიუვალ გამოქვაბულში შეაღწია. იმავე 1952 წელს ჯგუფის წევრები შევიდნენ მღვიმევის მონასტრის კომპლექსის ერთ-ერთ მიუვალ გამოქვაბულში, სადაც აღმოჩნდა კვადრატულად გათლილი მაღალი სტელა, რომლის ყველა გვერდი კრიპტოგრამული ნიშნებით იყო მოხატული.

მრავალი წლის შემდეგ, ხსოვნაში აღდგენილი ვიზუალური სურათი იწვევს სინანულის გრძნობას, სინანულისა, რადგან მოყვარულ სპორტსმენთა იმ ჯგუფმა, რომელმაც გადაწყვიტა უნიკალური ძეგლის კლდიდან ჩამოშვება, ვერ შეასრულა ჩანაფიქრი: თოკმა სიმძიმეს ვერ გაუძლო და კლდეზე დაცემული ქვის მონოლითი შუაზე გატყდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ნამტვრევი ჯგუფის წევრებმა სამუზეუმოდ წამოიღეს, დღეს დაკარგულია და მისი კვალის მიგნებაც არ ხერხდება, ხოლო ადგილზე დარჩენილი არქაული სიმბოლოებით მოხატული ქვის მეორე ნახევრის ძიება წლების განმავლობაში უშედეგო აღმოჩნდა...

საქმე ისაა, რომ მიუვალ მღვიმეში საგულდაგულოდ გადამალული, მრავალფეროვნად მონიშნული ბომონური მონოლითი, მართლაც ისტორიული ინფორმაციის შემცველი ძეგლი უნდა ყოფილიყო: იმ შორეულ წარსულში სტელები ხომ განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენების აღსანიშნავად იქმნებოდა!

ამ ფაქტის აღნიშვნა იმიტომაც მივიჩნიე აუცილებლად, რომ ბუნების ამდაგვარ უნიკალურ კომპლექსებს ამჟამად აღარავინ პატრონობს და არქეოლოგიური თუ ისტორიული ნივთის შეხებისას ყველა მოყვარულს უნდა ახსოვდეს: უდიდესი ღირებულების განძსაც კი მნიშვნელობა ეკარგება, ან სამუდამოდ ქრება ერის ისტორიისათვის, თუ მას კვალიფიციური, ერის ინტერესებისათვის მოღვაწე სწავლულის ხელი არ შეეხო და სათანადო ადგილი არ მიუჩინა.

ეხლა, როცა სასწავლებლებში იწყება საზაფხულო არდადეგები — ახალგაზრდობას ელოდება ცოდნის გაღრმავების, მამულის შეცნობის, მშობლიურ მთა-ბართან მიახლოების და შეხვედრის წუთები, საათები, დღეები...

ნურავინ [illegible] დაკარგავს [illegible] დროს, [illegible], რომ ბუნებაში არაფერია ამოსაცნობი და საძიებელი. პირიქით, თვითეულის ყურადღებიანი, საქმიანი რეაგირება ჩვენს გარშემო მომხდარი მოვლენებისადმი, შეიძლება გადამწყვეტიც აღმოჩნდეს ამა თუ იმ ვითარების დროს.

გარემო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენივე ყურადღების და ზრუნვის საგანია.

რასაც გაიღებ ბუნებისათვის, ბუნებაც უკანვე მას დაგიბრუნებს...

რამდენი ტურისტული ბილიკია გასაწმენდი და მოსაწესრიგებელი, რამდენი დაკარგული ჩუქურთმაა მოსაძებნი, რამდენი წარწერაა ხავსით დაფარული, რამდენი ლეგენდა და გადმოცემა ელოდება ჩამწერს, რამდენი ტოპონიმია მისაკვლევი და შესაკრები, ჩასახაზი თუ ჩასახატია მრავალი „ნაშთი ძველი დიდებისა", რომელსაც ჯერ მზრუნველი ხელი არ შეხებია...

გაეცანით თქვენი რაიონის ღირსშესანიშნაობებს და გააცანით ისინი სხვასაც: ადგილობრივსაც და გარეშესაც. თუ გააზრებული ექნება ამა თუ იმ ძეგლის მნიშვნელობა, ისინი არა თუ დააზიანებენ, პირიქით — მცველად და მოჭირნახულედ დაუდგებიან მათ.

ამ მხრივ, ჭიათურელ მოსწავლეთა დამოკიდებულება თავისი რაიონის აწმყოსა და წარსულისადმი რომ უშუალოა და გულწრფელი, ამას ისევ „ლელოს" ერთ-ერთი ადრინდელი ნომერი გვიდასტურებს:

„მოსკოვში გაიმართა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" საქალაქო პირველობა ტურისტულ მრავალჭიდში, რომელშიც მიწვეული იყვნენ ლენინგრადისა და საქართველოს გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკიდან აქ იასპარეზა პროფტექნიკური სასწავლებლების რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებულმა ჭიათურის მე-20 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის ტურისტული სექციის ნაკრებმა (მწვრთნელი რ. ფერაძე).

ტურისტული მრავალჭიდის ერთ-ერთ რთულ სახეობაში — ე. წ. ტურიზმის ტექნიკაში, რომელშიც შედიოდა 1500 მეტრზე სხვადასხვა წინააღმდეგობების დაძლევა, ჭიათურელებმა ყველას აჯობეს და თასიც მოიპოვეს.

ჩვენი სპორტსმენები საუკეთესონი იყვნენ აგრეთვე კონკურსში — „ტურიზმის პროპაგანდა". (გაზ. „ლელო", 1981 წ. 29 ივლისი).

და მართლაც, წლების განმავლობაში სპორტული წარმატებების აღმნიშვნელი პრიზები და დიპლომები ჭიათურის მე-20 პროფტექნიკური სასწავლებლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ცალკე განყოფილებაშია გამოფენილი.

ახლაც, ამ სასწავლებლის ახლანდელი თაობაც — საქართველოს მომავალი მშენებლები, აქტიური, სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობენ და ირჯებიან... პატრონისა და მოჭირნახულის თვალით შესცქერიან ქვეყანას — ამ დამოკიდებულებით სრულყოფენ და ავსებენ ურთიერთს...

**სიმონ ჯაფარიძე,**
**ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური ინსპექციის უფროსი ინსპექტორი, საზოგადოება „ცოდნის" ლექტორი.**

• • •





**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** მღვიმევის მონასტრის ხედი (ზევით); მიუვალი გამოქვაბული, სადაც 1952 წელს აღმოაჩინეს კრიპტოგრამული სტელა; „ვერძი".

ავტორის ფოტოები.

**საქართველოს თასის გათამაშება სასტენდო სროლაში**

# ჯერ საშინაო შეჯიბრებებში...

**საკავშირო** ახალგაზრდული თამაშების დაწყებამდე ჩვენს მესტენდურეებს ერთგვარი „შტილი" აქვთ, მხოლოდ თამაზ იმნაიშვილი იასპარეზებს მალე მსოფლიო თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე ტალინში. ასე რომ, ახლა ძირითადი ყურადღება ვარჯიშზე და რესპუბლიკურ შეჯიბრებებზეა გადატანილი, თუმცა, ბოლო ხანს, ერთსაც და მეორესაც გარკვეული დაბრკოლება შეექმნა: იოლად მისახვედრი მიზეზის გამო მთელი თვენახევრით დაკეტეს სამხედრო-სამონადირეო კავშირის ბაზა — ერთადერთი სასროლეთი მთელს თბილისში. ადვილი წარმოსადგენია, მოსამზადებელ პერიოდში ამდენი დროის გაცდენა როგორ იმოქმედებდა მესტენდურეთა სპორტულ ფორმაზე, რაც დაგვანახა კიდეც რესპუბლიკის თასის გათამაშებამ, რომელიც გაიმართა დიდი მცდელობის შემდეგ ამოქმედებულ იმავე ვარკეთილის სასროლეთზე.

მსროლელთა შედეგები, ცხადია, დაბალი იყო. მით უმეტეს, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოება „დინამოს" წამყვანი სპორტსმენები: თამაზ იმნაიშვილი, გია შენგელია, დავით ქვათაძე.

ქვემოთ გაგაცნობთ შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს, აქ კი ვიტყვით, რომ ჩვენი ნაკრები გუნდის ხელმძღვანელობამ გაცდენილი ვარჯიშების ასანაზღაურებლად მოაწყო ახალგაზრდა მესტენდურეთა საწვრთნელი შეკრება ბორის ძნელაძეში, სადაც, მათივე თქმით, შესანიშნავი პირობები აქვთ შექმნილი. რესპუბლიკის ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც ხვალ დაიწყება თბილისში, სამხედრო-სამონადირეო კავშირის სასროლეთზე, შეკრება ისევ ბორის ძნელაძეში გაგრძელდება.

**21|3** კვარცხლბეკი

**მრგვალი სტენდი.** 1. დავით მანჯგალაძე (თბილისი, პროფკავშირები) — 210 ქულა; 2. ბენო ალავერდოვი — 209; 3. მამუკა ზარაპიშვილი (ორივე — თბილისი, ასკ) — 207.

**იუნიორები.** 1. ალექსანდრე ერქომაიშვილი (ოზურგეთი, ასკ) —206; 2. ლაშა ასეიშვილი (თბილისი, „დინამო") — 205; 3. დიმიტრი ჯოსელია (ზუგდიდი, „დინამო") — 196.

**ადგილიდან სროლა.** 1. სერგეი ანდრეევი (თბილისი, ასკ) — 214; 2. შოთა თავაძე (თბილისი, პროფკავშირები) — 213; 3. გია მახარაძე... ნელი (თბილისი, „დინამო") — 213.

**იუნიორები.** 1. გიგა ქიშმარეიშვილი (თბილისი, „დინამო") — 206; 2. გელა მგალობლიშვილი (ოზურგეთი, პროფკავშირები) — 199; 3. გიორგი ქირია (თბილისი, ასკ) —198.

**გუნდური.** 1. პროფკავშირები—1533 ქულა; 2. ასკ — 1498; 3. „დინამო" — 1287.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XII ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

თბილისის დინამოელები ოდესაში შეხვდნენ ადგილობრივ „ჩერნომორეცს".

თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

**სხვა შეხვედრათა შედეგები:** „დნეპრი" — „შახტიორი" 2:1, „ტორპედო" — „ლოკომოტივი" 1:0, „როტორი" — „დინამო" (კ.) 0:0, „ზენიტი" — „დინამო" (მნ.) 1:0, „მეტალისტი" — „ჟალგირისი" 0:0, „დინამო" (მ.) — „არარატი" 6:1.

### პირველი ლიგა

**გუშინ** ლანჩხუთში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIII ტურის მატჩი, ადგილობრივმა „გურიამ" მიიღო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი კიშინიოვის „ნისტრუ".

შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:0.

### საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XII ტურის ორი შეხვედრა: გაგრაში ადგილობრივმა „დინამომ" დაამარცხა თერჯოლის „საპოვნელა" — 4:1, ხოლო ოჩამჩირეში „ამირანმა" სძლია ბოლნისის „სიონს" — 3:0.

# გოგონები, ქალები, ემოციები და... ფეხბურთი!

**ფეხბურთი** სპორტის უსაყვარლესი, შთამბეჭდავი სანახაობაა, რომელიც მილიონობით ადამიანს იზიდავს. მაგრამ ცოტას თუ უნახავს როგორი თავდავიწყებით, შეუპოვრობით და ემოციურობით ეუფლებიან ფეხბურთის საიდუმლოებას ქალები, იმ ფეხბურთისას, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ მათთვის „მავნე" სპორტად ითვლებოდა.

სულ ახლახან უკრაინაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბუდაპეშტის „ფემინა", კიევის „პრენა", ბარიშჩევის „ნივა", მოსკოვის „მოსკვიჩკა" და სხვები.

ბულგარეთში მოეწყო საერთაშორისო ტურნირი „შავი ზღვა", სადაც მონაწილეობდნენ ნორვეგიის, უნგრეთის, პოლონეთის, ბულგარეთის, ჩინეთის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ქალთა გუნდები. გამარჯვება იზეიმა მსოფლიოს თასის მფლობელმა ნორვეგიის გუნდმა, მეორე ადგილი დაიკავა ბუდაპეშტის „რენოკამ", ხოლო მესამე — პოლონეთის ნაკრებმა.

საქართველოში ჯერ კიდევ 1985 წლის გაზაფხულზე ჩატარდა ქალთა გუნდების შეხვედრა თბილისის „დინამოს" სტადიონზე, რომელშიც მონაწილეობდნენ შვეციის გუნდები „ბიურეო" და „ფუნასა". ჩამოყალიბდა გუნდები თბილისის სამედიცინო სასწავლებლებთან, ფოთში, ქუთაისში. შარშან გაიმართა საკავშირო ტურნირი ქალთა გუნდებს შორის ჟურნალ „სობესედნიკის" პრიზზე, რომელშიც მონაწილეობდა 20 გუნდი. ჩვენი რესპუბლიკიდან ტურნირში გამოდიოდა „ივერია", რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იყო თბილისის № 3 სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლეებით. გუნდმა ტურნირი დაუმარცხებლად განვლო და პირველი ადგილი დაიკავა. როგორც გამარჯვებული, თბილისის „ივერია" ჩეხოსლოვაკიაში მიიწვიეს საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. „ივერია" შეჯიბრებაში წარუმატებლად გამოვიდა, მას არ გააჩნდა საჭირო გამოცდილება, თავი იჩინა საზღვარგარეთის გუნდებთან შედარებით საბჭოთა კავშირის ქალთა ფეხბურთის დაბალმა დონემ. უცხოეთში ქალთა ფეხბურთის დანერგვისა და განვითარების საქმეს სერიოზულად ჯერ კიდევ 20-25 წლის წინ მოკიდეს ხელი.

თბილისის „ივერიას" შარშანდელი შემადგენლობიდან თითქმის აღარავინ დარჩა, მოსწავლეებმა სასწავლებელი დაამთავრეს და თავიანთ ძირითად საქმეს მოკიდეს ხელი.

თბილისში ქალთა ფეხბურთის განვითარების მიზნით პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოსთან ახლახან შექმნილ ფეხბურთის სპეციალიზებულ სკოლაში გაიხსნება გოგონათა და ქალთა ჯგუფები, რომლებსაც გამოცდილი მწვრთნელები უხელმძღვანელებენ. ახლო მომავალში გათვალისწინებულია პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოში ქალთა ფეხბურთის მსაჯთა მოსამზადებელი სემინარის მოწყობა, მსურველებს შეუძლიათ მიმართონ რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოს მისამართით:



380019, თბილისი, ა. წერეთლის გამზ. № 95 ა. ტელ. 34-76-19.

ჩვენს რესპუბლიკაში ქალთა ფეხბურთის დანერგვისა და განვითარების საქმის მოგვარებაში პასუხისმგებლობა ეკისრებათ ყველა რეგიონის ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტებსა და პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საბჭოებს. მაგრამ [illegible] რობით [illegible] ორჯერ გამოქვეყნდა წერილი იმის თაობაზე, რომ [illegible] საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭო პირველ ჩემპიონატს ატარებს ქალთა და გოგონათა გუნდებს შორის, წერილები დაეგზავნათ ყველა რეგიონის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საბჭოებს, მაგრამ დღესდღეობით შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველი ცოტაა.

**გარდა ამისა, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, როგორიცაა თბილისის პედაგოგიური, სამედიცინო, უცხო ენების ინსტიტუტები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის, ბათუმის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტები და სხვა, სადაც სტუდენტ ახალგაზრდობაში გოგონები ჭარბობენ, არის შესაძლებლობა შეიქმნას ქალთა ფეხბურთის გუნდები. საჭიროა მხოლოდ მონდომება და საქმისადმი სერიოზული მიდგომა, აქ, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდის კათედრებს, სპორტკომიტეტებს, სპორტკლუბებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და კომკავშირის კომიტეტებს.**

**გიორგი ბაქანიძე,**
**პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოს უფროსი.**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული... — ახალმა ასპარეზობამ თავი მოგვაწონა

# აუცილებლობა ეჭვს აღარ იწვევს

**უკვე** მესამე წელია, თბილისში ქართული ჭიდაობის მუდმივმოქმედი კერა გაჩნდა, რომელიც პერიოდულად — ძირითადად კვირაგამოშვებით, თავს უყრის ფალავნებსა და მათ გულშემატკივრებს საქართველოს ყველა კუთხიდან, თავს უყრის ქართული ჭიდაობის დამფასებლებს — ძველ მოჭიდავეებს, რომლებიც, საბედნიეროდ, საკმაოდ შემორჩენილან თბილისში. სარბიელზე დატრიალებული ვნება და აზარტი ხშირად წარმოუდგენელ მასშტაბს აღწევს, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ქართული ჭიდაობა მართლაც სისხლში აქვს გამჯდარი ჩვენს ხალხს.



ალბათ ზოგი მიხვდა, ლაპარაკია საქართველოს პირველობაზე, რომელიც ტარდება სოფლებისა და ქალაქების უბნების გუნდებს შორის. მისი ორგანიზატორია რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და მთავარი პრიზიც მის მიერაა დაწესებული. — სპორტსახკომი ორგანიზატორებს თავისი მუშაკებით ეხმარება მსაჯობაში. ცხადია, ეს პირველობაც არ არის დაზღვეული ცალკეული ხარვეზებისაგან (ამის შესახებ ჩვენ ადრეც ვწერდით), მაგრამ, მთლიანად, მისი მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს.

და აი, დასრულდა ეს ნამდვილი მარათონი, რომელმაც სტარტი ჯერ კიდევ შემოდგომაზე აიღო. უკან დარჩა ორთაბრძოლები ქვეჯგუფებში, მერვედფინალები, მეოთხედფინალები, ნახევარფინალები და აი, გადამწყვეტი პაექრობა — ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულისა და გორის რაიონის სოფელ ქორდის მოჭიდავეები.

საუკეთესო ფალავნებით დაკომპლექტებულ გორელთა გუნდს, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდა ორი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ალბათ ვერ წარმოედგინა, რომ შეხვედრას დათმობდა, მას მხარს უმაგრებდნენ მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები, რომელთა შორის სახელგანთქმული გორელი ფალავნებიც იყვნენ. მაგრამ ეს ძლიერი გუნდი ორგანიზაციულმა დაუდევრობამ (ან იღბალმა, როგორც გუნდის ხელმძღვანელები ამტკიცებენ) დააზარალა. თუმცა ყველაფერზე თანმიმდევრობით ვთქვათ...

მსაჯობა ასეთ შეჯიბრებაზე უძნელესი საქმეა და ხშირად საუკეთესო სპეციალისტებიც კი უძლურნი არიან გულშემატკივართა პრეტენზიების წინაშე. ფინალში მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობა საკმაოდ შთამბეჭდავი იყო: მთავარი მსაჯი ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი გახლდათ, იქვე იყვნენ ვახტანგ ბალავაძე, ქრისტეფორე ნინიაშვილი, სიმონ მაისურაძე... შუამავალ მსაჯად — ამ მეტად პასუხსაგებ პოსტზე — გივი კახაბრიშვილი დაასახელეს (რომელიც, კოლეგიის შეფასებით, კარგად გაუძლვა ფინალს), გვერდით მსაჯად — ოთარ ყურაშვილი.

პირველ შეხვედრაში, 15 წლამდე ასაკის მოჭიდავეთა შორის გაიმარჯვა პატარძეულელმა ზეზვა სუხაშვილმა, რომელმაც გელა ბაიაძეს სძლია, მაგრამ მათმა თანატოლმა, ქორდელმა დავით ჯალაბაძემ მალე აიღო რევანში მიხეილ ყუშიტაშვილთან შერკინებაში — 1:1. სულ მალე ზაზა ფსუტურმა (ქორდა) დააწინაურა თანაგუნდელები (თენგიზ ჭინჭარაძე დაამარცხა) — 2:1.

შემდეგ წონაში საგარეჯოელთა გუნდმა ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო ფალავანი გია ხოსიტაშვილი გამოიყვანა, რომელმაც არ გაუწბილა მას იმედი და დამაჯერებლად სძლია გია ქოქოშვილს — 2:2.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ იმუხტებოდა დარბაზი, რომელიც მოუთმენლად ელოდა უფრო მძიმე წონის, ცნობილი ფალავნების გამოსვლას. გორელმა ენგურ გოგიჩაშვილმა — ძიუდოში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, ულამაზესი ილეთით ერთ წუთსა და ხუთ წამში დაამარცხა სულხან სუხაშვილი და წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 3:2.

ამ დროს საგარეჯოელებმა ტაქტიკურად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, ხალიჩაზე გამოიყვანეს თავიანთი მთავარი იმედი კობა კუპატაძე. ვერც ერთი სხვა ფალავანი ალბათ ვერ გაუმკლავდებოდა ენგურ გოგიჩაშვილს (რომელსაც კიდევ ერთი შეხვედრის ჩატარების უფლება ჰქონდა) და გია თენაძეს — გორელთა გუნდის ამ ორ ლიდერს.

სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორის გია თენაძის ოსტატობა საყოველთაოდ არის ცნობილი, მაგრამ კუპატაძე მასზე 40 კილოგრამით არის მძიმე. სწორედ ეს გაითვალისწინეს გორელებმა და გოლიათი ცოტა მაინც რომ დაღლილიყო, ჯერ თამაზ ჯალაბაძე შეახვედრეს.

ორთაბრძოლა 2 წუთსა და 45 წამში დამთავრდა და კუპატაძე მორიგ მეტოქეს დაელოდა. რამდენს არ ეცადა ცნობილი, გამოცდილი ძიუდოისტი, ვერაფერი მოუხერხა გაცილებით მძიმე, ამასთან ძალზე ღონიერ და მოძრავ კუპატაძეს. გია თენაძე ქულებით დამარცხდა და ანგარიში გახდა 4:3 საგარეჯოელთა სასარგებლოდ. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ 22 წლის კობა კუპატაძე იყო საგარეჯოელთა ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი. საიმედო, შეუვალი დგომი და შეუპოვრობა, სათანადო ოსტატობასთან შერწყმული, კუპატაძეს უძლიერეს მოწინააღმდეგედ ხდიდა ნებისმიერი მეტოქისათვის...

მომდევნო შეხვედრა საკმაოდ უინტერესოდ მიმდინარეობდა და ორივე მოჭიდავეს, საგარეჯოელ ალექსანდრე მირზაშვილსა და გორელ დავით ელიაშვილს დამარცხება მიეკუთვნათ.

შეჯიბრება ამით დამთავრდა — ქორდელთა ერთ-ერთ მოჭიდავესთან პასპორტი არ აღმოაჩნდა, რაც შეჯიბრების დებულების მკაცრი მოთხოვნის დარღვევა გახლდათ. „ბიჭი დოსააფში დადის და გუშინ იქ გამოურთმევიათ პასპორტი, ჩვენ არ ვიცოდით, ის ხომ უკვე რამდენჯერმე გამოვიდა აქ საჭიდაოდ". — ამტკიცებდნენ დაზარალებული გუნდის მწვრთნელები, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ დებულება არ დაარღვია, ქორდის გუნდს ამ წონაში წაგება ჩაეთვალა. ანგარიში გახდა 5:3.



ამრიგად, საქართველოს 1989 წლის პირველობა ქალაქების უბნებისა და სოფლების გუნდებს შორის მოიპოვა პატარძეულის გუნდმა, რომელსაც მთელი შეჯიბრების მანძილზე ამზადებდა მწვრთნელთა კოლექტივი: ტრისტან სუხაშვილი, ბიჭიკო მარიდაშვილი, მიხეილ ქურხული, როლანდ ყორღანაშვილი, გიორგი დილმელაშვილი.

ქორდის გუნდი (მწვრთნელები: ვალერი ჯალაბაძე და მიხეილ ქისიშვილი) მეორე ადგილზე გავიდა. მესამეზე არიან ქალაქ გორის (მწვრთნელები: ფრიდონ გასიტაშვილი და გია პაპიტაშვილი) და კასპის რაიონის სოფელ ხანდაკის (მწვრთნელები: ლავრენტი კაციაშვილი და ალიკო იაშვილი) ნაკრებები. მათ გადაეცათ ლამაზი მედლები და თასები.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა — საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაკებმა, დააწესეს საგანგებო პრიზები, რომლებიც გადაეცათ კობა კუპატაძეს, ენგურ გოგიჩაშვილს და სხვებს.

— რა თქმა უნდა შეჯიბრების ზოგი დეტალი უნდა დაიხვეწოს, — თქვა ასპარეზობის ბოლოს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა, — მაგრამ თვით ტურნირი მეტად საჭირო ასპარეზობაა ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციისათვის. იგი გვეხმარება ჩვენც, ყოველ შეჯიბრებაზე შეიძლება დაინახო და აღმოაჩინო პერსპექტიული მოჭიდავეები, ეს შეჯიბრება საქართველოს ყველა კუთხეში აძლიერებს მუშაობას და იძლევა სტიმულს ჭიდაობის განვითარებისათვის.

როგორც საქართველოს კომკავშირის სპორტისა და მასობრივ-თავდაცვითი განყოფილების გამგემ რომან შფთაძემ გვითხრა, პირველობა, რომლის ჩატარების საჭიროება ეჭვს აღარ იწვევს, კვლავ გაიმართება. ოღონდ საჭიროა მასში შევიტანოთ აუცილებელი და გამოცდილებით ნაკარნახევი ცვლილებანი.

ჩვენის აზრითაც, მართლაც საჭიროა გარკვეული ცვლილებების შეტანა შეჯიბრების დებულებაში. ალბათ უფრო უნდა გამკაცრდეს სამანდატო მოთხოვნები. რათა არ იყოს გაუგებრობები და შეფერხებები, რაც ზოგჯერ ხელს უშლიდა ასპარეზობის მსვლელობას. ისიც გასათვალისწინებულია, რომ ბოლო შეხვედრებში განსაკუთრებული სიფხიზლის გამოჩენა უხდებოდა კალინინის რაიონის მილიციის განყოფილების მუშაკებს.

და ბოლოს, ერთი კეთილშობილი აქციის შესახებ: ფინალური ასპარეზობის მთელი შემოსავალი გადაირიცხა 9 აპრილისა და აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურების მსხვერპლთა ფონდში.

**გიორგი იოსებიძე.**



**სურათებზე:** ასეთ მწვავე ეპიზოდებს ხშირად ნახავდით ფინალურ შეხვედრაში; გამარჯვებულთა დაჯილდოვება; პატარძეულის გუნდი — ტურნირის ახალი ჩემპიონი.

თვის მონაგარი

# მემკვიდრეები

(დასასრული)

ყოველივე ამის მერე გასაკვირი აღარ იყო, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა აბსოლუტური პირველობის ფინალიც თავიანთ „შინაურულ" საქმედ გაიხადეს. ამჯერად კობა გურეშიძემ უმცროს დაბრუნდაშვილს სძლია.

ქართველმა ძიუდოისტებმა სხვადასხვა წონით კატეგორიებში კიდევ სამი ვერცხლის მედალი დაიმსახურეს. ისინი არიან თამაზ სააკაშვილი, ზურაბ სამუკაშვილი და მამუკა მახათაძე.

**ფორტ-ლოდერდეილში** (აშშ) ცხინვალელმა კახა კახიაშვილმა იუნიორ ძალოსანთა მსოფლიო პირველობაზე საბჭოთა ნაკრების შედარებით უფერული გამოსვლა ერთგვარად გამოასწორა, როცა ოქროს მედალი მოიპოვა და იმედი გაგვიმტკიცა, რომ საქართველოში, ამ სახეობაში, კვლავ გვეყოლება „დიდი" მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური მედლის მფლობელი.

**რუმინეთის** ქალაქ ტუშანალაში, სადაც მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი მოეწყო, თბილისელმა ქეთევან კახიანმა მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელ გერტრუდა ბაუმშტარკთან ერთად I-II ადგილები გაიყო, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტის წყალობით გამარჯვება ჩვენს სპორტსმენს მიენიჭა.

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა. საჭადრაკო სპორტსკოლის ნორჩ გოგონათა გუნდმა ჩვენი რესპუბლიკა კარგად წარმოაჩინა ბულგარეთის ქალაქ ხისარის საერთაშორისო ტურნირზე. გუნდურ ასპარეზობაში, სადაც 1973-76 წლებში დაბადებული სპორტსმენები გამოდიოდნენ, ჩვენმა გოგონებმა მეორე ადგილი დაიკავეს. პირად პირველობაში 1977-78 წლებში დაბადებული გოგონები ჩაებნენ. აქ უძლიერესის სახელი თბილისელმა მაია ლომინეიშვილმა მოიპოვა.

**წლეულს** მძლეოსნობის საერთაშორისო კალენდარში შეიტანეს ლიუბლიანის (იუგოსლავია) ქუჩებში გამართული ტრადიციული ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მძლეოსნები მონაწილეობენ. ტურნირი უფრო პრესტიჟული გახდა. სასიამოვნოა, რომ ამ ასპარეზობაში (10-კილომეტრიანი წრიული ტრასა) მეორე ადგილი თბილისელმა ოლეგ სტროკოვმა დაიკავა.

სოჭში გაზეთ „პრავდის" პრიზზე გამართულ მძლეოსანთა საკავშირო ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან ყველაზე უკეთ გამოვიდა სოხუმელი ბირთვის მკვრელი ტარიელ ბიწაძე, რომელიც სულ 7 სანტიმეტრით ჩამორჩა „ვერცხლის" პრიზიორს და მესამე ადგილი დაიკავა.

**საკმაოდ** კარგი შთაბეჭდილება დატოვეს თბილისელმა წყალში მხტომელებმა, რომლებიც მოსკოვში გამართულ საკავშირო ტურნირზე გამოდიოდნენ. აქ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. ასეთ კონკურენციას კარგად გაუძლო ნორჩმა თბილისელმა ნანა ნებიერიძემ, რომელმაც კოშკიდან ხტომაში ყველას აჯობა. მისმა თანაგუნდელმა გოჩა გახარიამ ამავე სახეობაში მეორე ადგილი დაიკავა. თბილისელმა გიორგი ჩოგოვაძემ ტრავმის მერე პირველად სცადა ძალა და 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მეორე ადგილი დაიკავა.

**საკმაოდ** ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი ოდესაში გამართულ ბატუტისტთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც მფრინავ-კოსმონავტ გიორგი დობროვოლსკის სახელობის პრიზზე ჩატარდა. ასპარეზობაში ცხრა გუნდის წარმომადგენლები, მათ შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები, გამოდიოდნენ. ასეთ პრესტიჟულ ტურნირში თავისი მაღალი კლასი კვლავ დაადასტურა თბილისელმა რუსუდან ხოფერიამ, რომელმაც სინქრონულ ხტომებში ელენა კოლომიეცთან ერთად გაიმარჯვა.

**თბილისის** 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები წარმატებას წარმატებაზე აღწევენ. შეჯიბრებაში ისე არ მონაწილეობენ, რომ გამარჯვება არ იზეიმონ. ახლა ამ სკოლის გუნდებმა საერთაშორისო სარბიელზე პირველად სცადეს ძალა და წარმატებასაც მიაღწიეს. ისინი უნგრეთში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში გამოდიოდნენ. 1980-81 წლებში დაბადებულ ბავშვთა ტურნირში ჩვენმა გუნდმა ყველა მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხა და ფინალში გავიდა. უნგრელებთან მინიმალური ანგარიშით წააგეს (1:2) და მეორე ადგილი დაიკავეს. 1979-80 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა ტურნირშიც თბილისელებმა წინასწარი შეხვედრები დიდი ანგარიშებით მოიგეს. ფინალში იუგოსლავიის „ხუბოტიცაც" ასევე დიდი ანგარიშით (7:0) დაამარცხეს და პირველი ადგილი მოიპოვეს.

ამ ტურნირზე ჩვენი გუნდის წევრებმა სხვადასხვა პრიზები მოიპოვეს, მათ შორის საუკეთესო მოთამაშისა, რომელიც ს. კვარაცხელიამ დაიმსახურა.

როგორც ხედავთ, მაისში უფროსთა შთამბეჭდავ გამარჯვებებს კარგად აუბეს მხარი ნორჩმა სპორტსმენებმაც, ეს კი, რა თქმა უნდა, მომავალ წარმატებათა იმედს გვინერგავს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

## უმაღლესი ლიგა

**XII ტურში** ქუთაისის „აიამ" კრასნოიარსკში წააგო ეტს-თან — 6:13. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ფილი" (მოსკოვი) — ასკ (ალმა-ათა) 18;6, „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ავიატორი" (კიევი) 10:20, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ზვეზდა" (ტაშკენტი) 17:9, „სლავა" (მოსკოვი) — „ელექტრომაში" (ტირასპოლი) 3:3.

თბილისის „ელმავლისა" და მონინოს სსა-ს თამაში, ბაშკირეთში მომხდარ კატასტროფასთან დაკავშირებით გამოცხადებული გლოვის გამო, 5 ივნისს არ გამართულა. გუშინ შუადღით მეტოქეები „ლოკომოტივის" სტადიონზე შეხვდნენ ერთმანეთს. ფრე — 22:22 (16:16).

## პირველი ლიგა

**შაბათს** ვარკეთილის სტადიონზე თბილისის არმიის სპორტული კლუბის (ასკ) მორაგბეებმა გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს — კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (კპი) გუნდს უმასპინძლეს. თამაშის პირველსავე წუთზე თბილისელთა კაპიტანმა მერაბ მარჯანიშვილმა ცრუ მოძრაობით გაარღვია სტუმართა დაცვის ხაზი. მას დროულად წამოეშველნენ მესამე ხაზის მორკინალები ობოლაძე და ვართანიანი, ჯარისკაცებმა კიეველთა კარის ხაზამდე მიაღწიეს და იქ წარმოქმნილი ზედახორის დროს ლელოც გაიტანეს, რაც მარჯანიშვილმა წარმატებით გარდასახა. შეხვედრის 29-ე წუთზე თბილისელთა მორიგი შტურმი მცველმა მაჩიტიძემ 35 მეტრიდან გატანილი არეკნით დააგვირგვინა — 9:0. ამის შემდეგ მასპინძლებს, რომლებიც ჩემპიონატის „ბრძნული" დებულების დარღვევის გამო (გუნდში ტარმაფალო მოთამაშე არ ჰყავდათ) რძულებულნი იყვნენ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში თოთხმეტს ეთამაშათ თხუთმეტი კიეველის წინააღმდეგ, დაღლა დაეტყოთ და სტუმრებიც დიდი ხნით დაეუფლნენ ინიციატივას. მათ საჯარიმოების გატანით ორჯერ შეძლეს ანგარიშში სხვაობის სამ ქულამდე შემცირება (6:9 და 9:12), მაგრამ თამაშის ბოლო წუთზე მარჯანიშვილმა, რომელმაც ცოტა ხნით ადრე საჯარიმოც შეაგდო, დაბნეულ კიეველებს პირდაპირ ხელიდან გამოჰგლიჯა ბურთი, ლელო გაიტანა და ლიდერს პირველი მარცხი აწვნია — 16:9.

კვირას საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს გუნდი „მიმინო" „ლოკომოტივის" სტადიონზე ლენინგრადის „ელექტრონმაშს" ეთამაშა. თბილისელები მეტწილად უტევდნენ, ერთიორჯერ ცოტა დააკლდათ ლელოს გატანამდე, 35-40 მეტრში დანიშნული საჯარიმოებიდან დარტყმული ბურთი ათჯერ ააცილეს კარს. ერთი სიტყვით, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ თამაში რაგბისთვის უჩვეულო ანგარიშით —0:0 უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ 74-ე წუთზე გია კურატიშვილმა ახლოდან ზუსტად დაარტყა საჯარიმო, რასაც სტუმართა თავგანწირული იერიშები მოჰყვა; მათ „მიმინოს" კარის ხაზთან ზედიზედ ორჯერ გაათამაშეს საჯარიმო, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ ლელოს ველარ გაიტანდნენ, შორიდან კარში დარტყმა ამჯობინეს და მიზანსაც მიაღწიეს. ფრე — 3:3.

# რეკორდები, რეკორდები...

ველოსპორტში ბევრი უცნაური რეკორდის რეგისტრაცია ხდება. 23 წლის პოლონელმა ბარტოლომეი დოლიატამ 24 საათში 737,9 კილომეტრი დაფარა (საათში საშუალოდ 30,75 კილომეტრი). სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ ამ მიღწევის გაუმჯობესება დიდხანს ვერ მოხერხდებოდა. მაგრამ ცოტა ხნის წინ ამერიკის შეერთებული შტატებიდან ახალი ცნობა მოვიდა. მაიკლ სერკესტმა მონრეალის ტრეკზე დღე ღამის განმავლობაში 830.790 კმ გაიარა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ პოლონელი ველოსიპედისტი გზატკეცილზე ასპარეზობდა, რაც შესამჩნევად უფრო რთულია.

ველოსიპედისტებს არც მორბენლები ჩამორჩებიან. ფრანგმა სტაიერმა ჟეკი ფრინკმა 24 საათში 239 კილომეტრი გაირბინა. ეს სარეკორდო შედეგი ნაჩვენები იქნა დაავლეთ ევროპაში პოპულარულ შეჯიბრებაზე „ბაზელის 24 საათი".

ქალთა შორის ყველაზე გამძლე მორბენალი გამოდგა შვეიცარიელი ჰელენ ვესტრაიჰერი — 24 საათში 165 კილომეტრი.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე



# რა არ შეიძლება მოხდეს კორტზე

**პარიზი.** გრძელდება საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. მერვედფინალში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ბრძოლა ანდრეი ჩესნოკოვსა და ამერიკელ ჯიმ კურიეს შორის გაიმართა. ამერიკელმა მოიგო პირველი ორი პარტია 6:2, 6:3, მომდევნო სამი და მასთან ერთად შეხვედრა კი ჩესნოკოვმა 7:6, 6:2, 7:5. ეს ორთაბრძოლა 3 საათსა და 47 წუთს გრძელდებოდა.

მეოთხედფინალში ჩესნოკოვს მოუწევს პაექრობა საფრანგეთის ღია ჩემპიონატის შარშანდელ გამარჯვებულთან შვედ მატს ვილანდერთან, რომელმაც მანამდე დამაჯერებლად აჯობა ამერიკელ ლოუსონ დუნკანს — 7:5, 6:3, 6:2.

ამ ტურნირის მთავარი სენსაცია გახლდათ მსოფლიოს პირველი ჩოგნის, საფრანგეთის სამგზის ჩემპიონის ივან ლენდლის (ჩეხოსლოვაკია) მარცხი 17 წლის ამერიკელ მაიკლ ჩანგთან. ეს ორთაბრძოლა 4 სათსა და 38 წუთს მიმდინარეობდა. ლენდლმა წარმატებას მიაღწია პირველ ორ სეტში, მაგრამ ვერ შესძლო უპირატესობის რეალიზაცია ბოლომდე, საგრძნობლად დაიღალა და დამარცხდა — 6:4, 6:4, 3:6, 3:6, 3:6. ჩანგი მეოთხედფინალში ითამაშებს ჰაიტელ რონალდ აგენორთან, რომელმაც მანამდე ესპანელ სერჯ ბრუგეირას აჯობა — 2:6, 3:6, 6:3, 6:1, 6:2.

სხვა მოულოდნელობებს შორის უნდა გამოვყოთ არგენტინელი გაბრიელა საბატინის მარცხი 17 წლის ამერიკელ მერი-ჯო ფერნანდესთან — 4:6, 4:6. და ამერიკელ ჯიმ კურიეს გამარჯვება თანამემამულე ანდრე აგასისთან — 7:6, 4:6, 6:3, 6:2.

ნატალია ზვერევასა და ლარისა სავჩენკოს წყვილმა მესამე წრეში ავსტრალიელთა დუეტს (ენ ფაული — რეჩელ მაკგულანი) აჯობა — 6:4, 6:2.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" 22-ე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 1989 წლის 28 მაისს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45"-დან: დაშვებულია 1.601.289 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (37 ბარათი) მოგება 1790 მანეთია, ოთხისთვის (1844) — 39, სამისთვის (34005) — 3.

საქართველოში: 6—0, 5—3, 4—67, 3 — 889.

„სპორტლოტო 5 36"-დან: დაშვებულია 16.667.444 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (52 ბარათი) მოგება 9683 მანეთია, ოთხისთვის (8421)— 117, სამისთვის (252825) — 4.

საქართველოში: 5—1 (ზუგდიდი), 4—256, 3—6554.



## საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1989-90 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე

### დღის სწავლება

დღის განყოფილებაზე მიღება იწარმოებს სპორტის შემდეგ სახეობებში: მძლეოსნობა, სპ. ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა (ბატუტი), ცურვა, წყალში ხტომა, ნიჩბოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ჩოგბურთი, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო (ვაჟები და ქალები), სამბო, კრივი, ფარიკაობა, ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი, მშდ მრავალჭიდი, სათხილამურო სპორტი, კლდეზე ცოცვა, ველოსპორტი, კალოსნობა, ჭადრაკი (სწავლება წარმოებს ქართულ და რუსულ სექტორებზე).

დღის განყოფილებაზე მიიღებიან 35 წლამდე ასაკის მოქალაქენი, სავალდებულოა ჰქონდეთ II სპორტული თანრიგი სპორტის არჩეულ სახეობაში. გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: საერთო ფიზიკური მომზადება, სპორტის არჩეული სახეობა, ბიოლოგია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა). მათ, ვინც საშუალო სკოლა მედალზე დაამთავრეს, აგრეთვე აბიტურიენტები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სპეციალური ან პროფტექნიკური სასწავლებელი (რვაწლიანი განათლების ბაზაზე) წარჩინებით, აბარებენ გამოცდას სპორტის არჩეულ სახეობაში და ფიზ. მომზადებაში. იმ შემთხვევაში თუ მათ ამ საგნებში შეფასება „ხუთი" დაიმსახურეს, ისინი თავისუფლდებიან მომდევნო გამოცდებისაგან.

### დაუსწრებელი სწავლება

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მწვრთნელისა და ფ/კ ორგანიზატორის სპეციალობებზე ასაკის განუსაზღვრელად მიიღებიან მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ III სპორტული თანრიგი ნებისმიერ სპორტის სახეობაში და ინსტიტუტის პროფილით მუშაობის სტაჟი, არანაკლები 6 თვისა.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები, საერთაშორისო და სსრ კავშირის სპორტის ოსტატები, სსრ კავშირის და რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი (პირველი სამი წლის მანძილზე) სარგებლობენ იმ პირთა უფლებებით, რომელთაც აქვთ პროფილით მუშაობის გამოცდილება.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მისაღები გამოცდები ჩატარდება საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ბიოლოგიაში (ზეპირი) და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

სწავლება წარმოებს ქართულ და რუსულ სექტორებზე.

ფიზკულტურის ტექნიკუმისა და მწვრთნელთა სკოლის წარჩინებით კურსდამთავრებულნი აბარებენ ერთ გამოცდას საერთო ფიზიკურ მომზადებაში (ცურვის ჩათვლით) და შეფასება „ხუთის" მიღების შემთხვევაში თავისუფლდებიან მომდევნო გამოცდებისაგან.

ამავე უპირატესობით სარგებლობენ ის პირები, რომლებსაც სკოლა დამთავრებული აქვთ ოქროს (ვერცხლის) მედალზე, ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით და აქვთ პროფილით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი ან დემობილიზებულნი არიან საბჭოთა არმიის რიგებიდან (პირველი სამი წლის მანძილზე).

სოფლის სასწავლო, სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების მუშაკები (მასწავლებლები, პიონერხელმძღვანელები, აღმზრდელები), რომელთაც აქვთ სოფლის სასწავლო დაწესებულებებში დაკავებულ თანამდებობებზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი (1989 წლის 15 ივნისისათვის) და რომელთა ასაკი არ აღემატება 35 წელს ირიცხებიან გამოცდების გარეშე (მასწავლებლის სპეციალობაზე) გასაუბრების შედეგების მიხედვით. გასაუბრება ჩატარდება ორ საგანში: ბიოლოგია და სპეციალობა (სპეციალობაში გასაუბრება შეცვლილია ფიზ. მომზადებაში არსებული ნორმატივების ჩაბარებით, ცურვის ჩათვლით). აღნიშნული კატეგორიის აბიტურიენტებისაგან საბუთების მიღება იწარმოებს 15-დან 24 ივნისის ჩათვლით. გასაუბრება ჩატარდება 27,28,29 ივნისს.

ინსტიტუტში შემსვლელმა ყველა აბიტურიენტმა განცხადებას თან უნდა დაურთოს: საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 086 უ), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმათთვის ვინც მუშაობს); სპორტსმენის საკლასიფიკაციო ბილეთი, მშდ კომპლექსის ჩაბარების მოწმობა, 6 ფოტოსურათი (3X4); პასპორტს და საბუთს სამხედრო ვალდებულების შესახებ შემსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

საბუთების მიღება იწარმოებს 26 ივნისიდან 15 ივლისამდე. გამოცდები ჩატარდება 16 ივლისიდან.

დაწვრილებით ცნობებს მიიღებთ ინსტიტუტის მიმღები კომისიისაგან.

ინსტიტუტის მისამართია: 280062 თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 49; ტელეფონი: 23-18-24.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10375